



ნეილ სმელზერი

სოციალური სტრუქტურა

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სოციოლოგთა დიდმა ჯგუფმა ინტერვიუ აიღო ნიუ-იორკის იმ მაცხოვრებლებთან, რომლებიც უმუშევრების გამო დახმარებას ღებულობდნენ. თავიდან ყოველივე მათგანს დაუსვეს კითხვა: „ზოგადად, როგორ მიგაჩნიათ თქვენი ჯანმრთელობა, მშვენივრად, კარგად, დამაკმაყოფილებლად, სუსტად?“. შემდეგ, ინტერვიუს მსვლელობაში ყოველ ქალს დაესვა კითხვა, აპირებენ თუ არა უახლოეს ხანებში მუშაობის დაწყებას, თუ კარგა ხანს არ აპირებენ ამას? აღმოჩნდა, რომ ქალები, რომლებიც დახმარების მიღებას ხანგრძლივად აპირებდნენ, თავის ჯანმრთელობას უფრო სუსტად თვლიდნენ, ვიდრე ისინი, ვინც მალე აპირებდა მუშაობის დაწყებას. ამ გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დაასკვნეს, რომ ადამიანები, რომლებიც სოცეზურუნველყოფაზე იმყოფებიან, როგორც წესი, საკუთარ თავს წარუმატებლად თვლიან.

მეტიც, თვლიან რა თავს წარუმატებლად, ისინი ცდილობენ მოუძებნონ ამას გამართლება და სუსტ ჯანმრთელობას იმიზეზებენ. ამით ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავიანთ წარუმატებლობაში არ არიან დამნაშავენი. ამ თვალსაზრისმა შეიძლება გააჩინოს ეჭვი რამდენადაც შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები, რომლებიც დახმარებას მუდმივად ღებულობენ, მართლაც ავად არიან და არცა აქვთ იმედი, რომ როდისმე შესძლებენ მუშაობას. მაგრამ მკვლევარებმა დაადგინეს კავშირი სუსტ ჯანმრთელობაზე წუწუნსა და სოცეზურუნველყოფის მუდმივ კლიენტს შორის, მაშინაც კი, როდესაც აკონტროლებდნენ ავადმყოფობის „ობიექტურ“ მაჩვენებლებს, როგორცაა, ექიმისადმი მიმართვის რაოდენობა წლის განმავლობაში. ამ გამოკვლევის საფუძველზე ავტორებმა გაბედეს და ჩამოაყალიბეს შემდეგი ჰიპოთეზა “რაც უფრო მეტად წარუმატებლად თვლის ადამიანი საკუთარ თავს, მით უფრო სუსტად მიაჩნია თავისი ჯანმრთელობა”.

მეორე გამოკვლევას, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერები ატარებდნენ ჩიკაგოში. შერჩევით დადგენილ რესპოდენტებს დაესვათ კითხვა: ჩვეულებრივ როგორ გრძნობენ თავს, „ძალიან ბედნიერად“, „საკმაოდ ბედნიერად“ თუ „არცთუ მაინცდამაინც ბედნიერად“. ამას გარდა, მრავალი კითხვა დაესვათ სამსახურის, ოჯახური მდგომარეობის, საზოგადოებრივი სტატუსის სხვა ასპექტების შესახებ. ბედნიერების შესახებ პასუხებში საინტერესო ნაირსახეობა შეიმჩნეოდა. როგორც წესი, მამაკაცები და ქალები ერთნაირად პასუხობდნენ, მაგრამ აღმოჩნდა რომ დაქორწინებულები უფრო ხშირად თვლიდნენ თავს ბედნიერად, ვიდრე მარტოხელები, განქორწინებულები, დაშორებულები და დაქვრივებულები. ასევე გაირკვა, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად ბედნიერები იყვნენ, ვიდრე ხანშიშესულები: ისევე, როგორც უფრო განათლებულები, ნაკლებად განათლებულებთან შედარებით. და ბოლოს, პასუხებზე გავლენა იქონია სამსახურის ქონა-



არქონამ. კერძოდ, ვინც მუშაობდა უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე უმუშევარი, ყველაზე უბედურები იყვნენ ვისაც სამუშაო არა აქვთ.

ეს ორი გამოკვლევა მოწმობს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ადამიანების მდგომარეობას, ეს მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის შინაგან ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მოცემული თავი სოციალური გარემოს ანალიზს ეძღვნება. თავიდან სტატუსისა და როლის ცნებებს განვიხილავთ. შემდეგ გავიგებთ, თუ სტატუსისა და როლის საფუძველზე როგორ ხორციელდება ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, როგორებიცაა სასამართლო, მედიცინა, განათლება და ოჯახი; ასევე გავარკვევთ თუ ეს ინსტიტუტები სოციალურ სტრუქტურას როგორ აყალიბებენ. ბოლოს, სოციალური გარემოს ყველაზე დიდი ელემენტის საზოგადოების განხილვაზე გადავალთ.

პიროვნებათშორისო ურთიერთქმედება და სოციალური სტრუქტურა. როლის ცნება.

ადამიანი რთულია. ერთი ადამიანის ქცევა განსხვავდება მეორე ადამიანის ქცევისაგან;

განსხვავებულ სიტუაციებში ადამიანები ასევე განსხვავებულად იქცევიან.

ჩვენ არ ვიქცევით ერთნაირად მეგობრებთან და ახლადგაცნობილ ადამიანებთან. განსხვავებულად ვექცევით პატარებსა და ჩვენს მშობლებს. ჩვენი ურთიერთობა ნებისმიერ ადამიანთან სავსებით განსხვავდება კოლეგებთან ჩვენი ურთიერთობისაგან.

საზოგადოებაში ყოველ ადამიანს რამდენიმე პოზიცია უკავია. მაგალითად, ქალი შეიძლება იყოს მუსიკოსი, მასწავლებელი, მეუღლე და დედა. ამ სოციალური პოზიციებიდან ყოველი დაკავშირებულია გარკვეულ წესებთან და ვალდებულებებთან, რასაც სტატუსს ვეძახით. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მრავალი სტატუსი, მაგრამ ერთი მათგანი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მთავარი სტატუსი, განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. ჩინური წარმოშობის ამერიკელი ქალბატონი შეიძლება იყოს ფარმაცევტი, ქალიშვილი, მეგობარი და მოცეკვავე, მაგრამ მისი სოციალური მდგომარეობა ალბათ განსაზღვრული იქნება იმით, რომ ის არის აზიელი. ხშირად ადამიანის მთავარი სტატუსი განსაზღვრულია მისი სამსახურით.

როდესაც საუბარი ეხება უცნობ ადამიანს ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვიკითხავთ: „სად მოღვაწეობს ეს ადამიანი, რით არსებობს?“ ამ კითხვაზე პასუხი ბევრ რამეს ამბობს ამ ადამიანზე. მთავარ სტატუსებად ითვლება: ყოფილი პატიმარი, მეძავი, ყოფილი „ამერიკის მის“ და ა.შ.

ზოგიერთი სტატუსი დაბადებიდან მოდის. მაგალითად, ადამიანი კანის შავი ფერით დაბადებიდანვე იღებს ზანგის სტატუსს. გარდა ამისა, სტატუსი განისაზღვრება სქესით,



ეთნიკური წარმომავლობით, დაბადების ადგილით, ოჯახის გვარით. ასეთ სტატუსებს დარქმეული ან მიწერილი სტატუსი ეწოდებათ.

პირიქით, მიღწეული (შეძენილი) სტატუსი განისაზღვრება იმით, თუ რა გააკეთა ადამიანმა თავის სიცოცხლეში. მწერლის სტატუსს შეიძენენ გამოქვეყნებული წიგნის მერე; მეუღლისას ქორწინების მერე. არავინ არ იბადება მწერლად და მეუღლედ. ზოგიერთ სტატუსში შერწყმულია დარქმეული და შეძენილი ელემენტები. ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიღება, რა თქმა უნდა მიღწევას. მაგრამ ერთხელ მიღებული ახალი სტატუსი სამუდამოდ რჩება, გახდება პიროვნების პერმანენტული ნაწილი და ადამიანის სოციალური როლი, განსაზღვრავს მთელს მის საქმიანობასა და მიზნებს დარქმეული სტატუსის შესაბამისად.

როლი ეწოდება მოსალოდნელ ქცევას, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის სტატუსით. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით ადამიანის სტატუსით განსაზღვრულ მოსალოდნელ ქცევას როლი ეწოდება. მუსიკოსის როლი მთლიანად განსაზღვრავს მის ქცევას, რაც დაკავშირებულია დადგენილ წესებთან და მუსიკოსის მოვალეობებთან. ამათ განეკუთვნება ოსტატობის გარკვეულ დონეზე მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, რამდენიმე საათიანი რეპეტიციები და დირიჟორის შესაბამისი პატივისცემა.

ყოველი სტატუსი ჩვეულებრივ რამდენიმე როლს გულისხმობს. ლექტორი სხვანაირად იქცევა სტუდენტებთან, ფაკულტეტის სხვა ლექტორებთან, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან, რექტორთან. მოცემული სტატუსის შესაბამისი როლების ჯამს როლური ნაკრები ეწოდება.

როგორ ვითვისებთ როლებს? როგორც მეოთხე თავში გავიგებთ, განსხვავებული როლების ათვისება – სოციალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენი როლი იმითაა განსაზღვრული თუ რას ელოდებიან სხვები ჩვენგან. ჩვენს საზოგადოებაში (სხვა მრავალშიც) ჩვეულებრივია, რომ მშობლები ზრუნავენ შვილებზე, რომ მოსამსახურემ უნდა შეარულოს დაკისრებული ვალდებულება, რომ ახლო მეგობრები არ არიან გულგრილნი ჩვენი პრობლემების მიმართ. თუ ისინი ჩვენი მოლოდინების შესაბამისად „არ ასრულებენ“ თავიანთ როლებს ჩვენ გვიკვირს, ვბრაზობთ ან გვწყინს და ჩვენი ურთიერთობაც იცვლება.

შეიძლება განვასხვავოთ ფორმალური და არაფორმალური როლური მოლოდინი. პირველის ნათელი მაგალითია კანონები. როდესაც ჩვენ სახლის ყიდვის შესახებ ხელს ვაწერთ ხელშეკრულებას, სავარაუდოა, რომ ჩვენ სახლს ვიყიდით; თუ ჩვენ სახლი არ ვიყიდეთ, შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ აღიძრას საჩივარი ხელშეკრულების დარღვევის გამო. სხვა ტიპის ხელშეკრულებაა ქორწინება, რომელიც შეიძლება შეწყდეს განქორწინებით. სისხლის სამართლის კანონები კრძალავენ მკვლელობას, გაუპატიურებას და სხვების საზიანოდ მიმართულ სხვა ქმედებებს. სხვა ნაბიჯები შეიძლება ნაკლებად ფორმალური



იყოს – მაგალითად, სუფრასთან ქცევის უნარი, ტანსაცმელის სტილი და ზრდილობის ნორმები – თუმცა მათაც ჩვენს ქცევებზე დიდი გავლენა აქვთ.

ჩვენგან როლურად მოსალოდნელი ქცევის შეუსაბამო ქცევებზე რეაქცია, ასევე შეიძლება ფორმალური და არაფორმალური იყოს. სხვაზე თავდასხმის შემთხვევაში დამნაშავეს ციხეში მიაბრძანებენ. თუ მანქანას იქ არ დააყენებ, სადაც ნებადართულია, დაგაჯარიმებენ; თუ ჯარიმა არ იქნება გადახდილი დადგენილ ვადებში, დაგაჯარიმებენ კიდევ ერთხელ და უფრო მეტად. ჩვენ მოვიყვანეთ ფორმალური დასჯის მაგალითები. სხვაგვარი დასჯა ნაკლებად ფორმალურია. ადამიანს, რომელიც სტუმრად დათვრება და შეურაცხყოფას მიაყენებს სხვა სტუმრებს ციხეში არ ჩასვამენ, მაგრამ ამ სახლში აღარ მიიწვევენ. მეტიც, ზოგიერთი დასჯა უფრო შენიღბულია. უადგილო შენიშვნას სიჩუმით შეხვდებიან, რაც შენიშვნის ავტორს საკუთარ შეცდომას მიახვედრებს. როდესაც ადამიანის ქცევა მის როლს შეესაბამება, ის ფულის ან პატივისცემის სახით სოციალურ ჯილდოს ღებულობს. აღნიშნული წახალისება და დასჯა ერთობლივად სანქციად იწოდება. ერთი ან რამდენიმე ინდივიდის მიერ გამოყენებული სანქცია არის მიღებული წესის გაძლიერება და განსაზღვრავს, რომ ასეთი ქცევა მოცემულ ვითარებაში მისაღებია.

როლების დახასიათება. საზოგადოებაში ფორმალური როლების დიდი უმრავლესობა არსებობს. როგორც უკვე ითქვა, ქალს მრავალი როლის შესრულება ძალუძს - მეუღლე, დედა, პედაგოგი, მუსიკოსი, პროფკავშირის წევრი, ამომრჩეველი. როგორ მოვიძიოთ როლების ამ დიდი რაოდენობის კლასიფიკაციის საუკეთესო საშუალება?

სოციალური როლების სისტემატიზაციის მცდელობა ტალკოტ პარსონსსა და მის კოლეგებს ქონდათ (1951). მათ მიაჩნდათ, რომ ნებისმიერი სოციალური როლის აღწერა ხუთი ძირითადი მახასიათებლის საშუალებითაა შესაძლებელი:

1. ემოციურობა. ზოგიერთი როლი (მაგალითად, მედდის, ექიმის ან დამკრძალავი ბიუროს პატრონის) მოითხოვს ემოციურ თავშეკავებას იმ ვითარებებში, რომელთაც ჩვეულებრივ გრძნობების ხმაურიანი გამომჟღავნება ახლავს (საუბარი ეხება ავადმყოფობას, ტანჯვას, გარდაცვალებას). ოჯახის წევრებისა და მეგობრებისაგან ემოციების შეკავება ნაკლებადაა მოსალოდნელი.

2. მიღების წესი. ზოგიერთი როლი მიკუთვნებული (მიწერილი) სტატუსითაა გაპირობებული. მაგალითად, ბავშვის, ყმაწვილის ან ზრდასრული მოქალაქის; ისინი ამ როლის შემსრულებელი ადამიანის ასაკით განისაზღვრება. სხვა როლებს მიღწევა სჭირდება; როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მედიცინის დოქტორზე მხედველობაში გვაქვს ისეთი როლი, რომელსაც პიროვნების ძალისხმევა სჭირდება და ავტომატურად არ მიიღება.



3. მასშტაბი. ზოგიერთი როლი ადამიანთა ურთიერთობების განსაზღვრული ასპექტებით მკაცრად შეზღუდული. მაგალითად, ექიმისა და პაციენტის როლი განსაზღვრულია კითხვებით რომლებიც უშუალოდ ეხებიან პაციენტის ჯანმრთელობას. პატარა ბავშვსა და მის მშობლებს შორის ყალიბდება უფრო ფართო ურთიერთობა; მშობელთაგან ორივეს ბავშვის ცხოვრების მრავალი მხარე აწუხებს.

4. ფორმალიზაცია. ზოგიერთი როლი ადამიანების ურთიერთობას დადგენილი კანონების შესაბამისად გულისხმობს. მაგალითად, ბიბლიოთეკარი ვალდებულია გასცეს წიგნი გარკვეული ვადით და დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში დაუწესოს ჯარიმა. სხვა როლების შესრულებისას დასაშვებია განსაკუთრებული ურთიერთობა იმათთან ვისთანაც პიროვნული ურთიერთობები ჩამოყალიბებულია. მაგალითად, ჩვენ არ ველოდებით, რომ დამ ან ძმამ გადაგვიხადოს გაწეული სამსახურის საფასური, თუმცა უცნობისგან ამ საფასურს ავიღებდით.

5. მოტივაცია. განსხვავებული როლები გაპირობებულია სხვადასხვა მოტივებით. მოსალოდნელია, რომ საქმიანი ადამიანი ჩაფლობილია საკუთარ ინტერესებში – მისი ქცევები მაქსიმალური მოგების მიღების სურვილითაა განსაზღვრული, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ სოციალური სფეროს მუშაკი ვთქვით, უმუშევრეთათვის დახმარების ბიუროს თანამშრომელი ძირითადად საზოგადოების კეთილდღეობისა და არა პირადი გამორჩენისათვის შრომობს.

პარსონსი თვლის, რომ ნებისმიერ როლი ამ მახასიათებლების რაიმენაირ კომბინაციას გულისხმობს. მაგალითად, მეძავის როლი. ჩვეულებრივ ამ ქალბატონებს არავითარი გრძნობები არა აქვს თავისი კლიენტების მიმართ. მოცემული როლი უფრო მიღწევადია, ვიდრე დავალებული, რადგან მისი ათვისება გარკვეული მოღვაწეობის შედეგად ხდება. ის ფულადი სექსის ჩარჩოებით მკაცრად განსაზღვრული. ჩვეულებრივ მეძავები თავიანთ კლიენტებს დადგენილი წესების შესაბამისად ემსახურებიან – მომსახურების ნებისმიერ სახეზე დაწესებულია გადასახადი. მეძავები მუშაობენ თავიანთი მოგების მიზნით - სექსუალური მომსახურება პირადი გამდიდრებისათვის.

როლის შერჩევა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ფორმალური თუ არაფორმალური როლი ქცევის მკაცრად ფიქსირებულ მოდელს არ წარმოადგენს. ინდივიდის ხასიათი გადამწყვეტ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შესაბამისობაშია მისი ქცევა იმასთან, რასაც მისგან მოელიან. ადამიანები ავტომატურად არ რეაგირებენ როლურ მოლოდინზე. ისინი მეტ აქტიურობას იჩენენ. ადამიანის ქცევა როლური მოლოდინის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნიკალური გაგებისა და შეფასების პროდუქტია. ადამიანები გაიაზრებენ მისგან მოსალოდნელ როლურ ნაბიჯებს და მათი საკუთარი ინტერპრეტაციის შემდეგ მოქმედებენ. ეს ნიშნავს, რომ დამოკიდებულება ადამიანის ქცევასა



და როლურ ნაბიჯებს შორის არამდგრადია; ის სქემით ნაკარნახევ, მკაცრად ფიქსირებულ ჩარჩოებში ვერ თავსდება. სიმბოლური ინტერაქციონიზმისა და ეთნომეთოდოლოგიის მომხრე ზოგიერთი სოციოლოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას „მოლოდინი-ქცევა“ სისტემის ცვალებადობას ანიჭებს. მაგალითად, გარფინკელი (1972) კრიტიკულად უყურებს მკვლევარებს, რომელთა ვარაუდით ინდივიდი „გაბრუებულია კულტურით“ და როლურ მოლოდინზე ავტომატურად რეაგირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანები თავიანთ როლებს დადგენილი სცენარების მიხედვით არ ასრულებენ. სინამდვილეში იმპროვიზაციას აქვს ადგილი. გავანალიზოთ მაგალითი. ახალი პედაგოგი მოდის კოლეჯში, სადაც მუშაობის დაწყებას აპირებს. მდივანი მიაცილებს მას კაბინეტამდე და მიმართავს მას „მისტერ“ ან „დოქტორ“. მაგრამ თავად როგორ უნდა მიმართოს მდივანს? როდესაც ის ხვდება თავის კოლეგებს (მიღებაზე მათ უმრავლესობას ის უკვე გაეცნო) მის წინ სხვა დილემა ჩნდება: როგორ მიმართონ ერთმანეთს სახელით თუ გვარებით? უნდა ახსენო წოდება თუ იხმარო „მისტერ“? როგორ უპასუხო სატელეფონო ზარებს ან როგორ მოაწერო ხელი? ამ კითხვებზე პასუხები გაპირობებულია გარემომცველთა ოდნავ შესამჩნევი მოლოდინით, რომლის გაგება ძალზე ძნელია. ეს დაკავშირებულია იმასთან თუ როგორაა ახალი პედაგოგი მიღებული, მუდმივად თუ დროებით, დამოკიდებულია ასაკობრივ სხვაობაზე მასა და ძველ თანამშრომლებს შორის, ასევე თანამდებობების განსხვავებაზე. ალბათ, დასაწყისში ახალ პედაგოგს მოუწევს იმპროვიზაცია, სანამ არ განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ მოლოდინი გაამართლოს.

როლური სისტემები. რამდენადაც ყოველი ადამიანი განსხვავებულ ვითარებებში (ოჯახი, სამეგობრო, რაიმე ერთობა, საზოგადოება) განსხვავებულ როლებს ასრულებს, ამ როლებს შორის ყოველთვის არსებობს კონფლიქტი. მაგალითად, თუ დედა სჯის თავის ვაჟიშვილს და უკრძალავს მას მანქანის მართვას, მამას შეიძლება მოეჩვენოს, რომ სასჯელი ძალზე მკაცრია. მამას უჩნდება დილემა: მეუღლის როლის შესრულებისას, მან მხარი უნდა დაუჭიროს თავის მეუღლეს, მაგრამ, როგორც მამამ, შვილზე უნდა იზრუნოს. რომელი როლი უნდა შეარულოს მამამ?

როლური კონფლიქტი და როლური დამაბულობა.

სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია ორი ან მეტი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე როლის შესრულების აუცილებლობასთან, როლურ კონფლიქტად იწოდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი მაღალორგანიზებული საზოგადოებისათვის როგორც აშშ-შია, სადაც ყოველი ადამიანი უამრავ როლს ასრულებს. ყმაწვილებს (თინეიჯერებს) საქმე მშობლებისა და თანატოლების ურთიერთგამომრიცხავ მოლოდინებთან აქვთ. მომსახურე



მშობლები სამსახურსა და შვილებს შორის „ორ ცეცხლს შუა არიან“. ხელმძღვანელი მუშაკები პატრონებთან სხვაგვარად უნდა მოიქცნენ და ძირითად პერსონალთან სხვაგვარად. როლური კონფლიქტი შეიძლება მაშინაც ჩაისახოს, როდესაც ადამიანები ერთი საზოგადოებრივი კლასიდან მეორეში გადადიან, როდესაც ცდილობენ ოჯახსა და ძველ მეგობრებთან კავშირები არ დაკარგონ.

ამერიკელი სოციოლოგები როლურ კონფლიქტებს კოლეჯის იმ სტუდენტებში იკვლევდნენ, რომლებიც სპორტს მისდევდნენ. მათ აღმოაჩინეს, რომ ხასიათის თვისებები, რომლებიც დიდად ფასობს სპორტსმენებში: სიმტკიცე, დამოუკიდებლობა, ემოციური თავშეკავება და წარმატებისაკენ სწრაფვა მათი მეგობარი ქალების მოლოდინს არ შეესატყვისებოდა. ქალებს არ მოსწონდათ მომეტებული სიმკაცრე და სხვა თვისებები, რომლებიც სპორტსმენებისათვის საამაყო იყო. მათ უფრო გულახდილობა, ღრმა გრძნობები და თანაგრძნობის უნარი მოსწონდათ.

ზოგჯერ თავს კონფლიქტი ერთი და იგივე როლის სხვაგვარად ასპექტებს შორის იჩენს.

მაგალითად, სოციალური სფეროს მუშაკისაგან ყურადღებასა და კეთილგანწყობას მოელიან.

მაგრამ ბიუროკრატებთან მათი აუცილებელი ურთიერთობა სიჯიუტისა და სიმტკიცის გარეშე შეუძლებელია. ეს ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები როლურ კონფლიქტებს იწვევენ.

როლური კონფლიქტის დაძლევის ხერხები. როგორ ახერხებენ ადამიანები როლური კონფლიქტის დაძლევას? მერტონს მიაჩნია, რომ მათი შესუსტების რამდენიმე ხერხი, საშუალება არსებობს. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ სხვა როლებთან შედარებით ზოგიერთი როლის უპირატეს მნიშვნელობას აღიარებენ. ჩვენს საზოგადოებაში წინა პლანზე ჩვეულებრივ ოჯახი და სამსახურია, ამიტომ ადამიანებს ესმის იმ ადამიანისა, რომელიც ამბობს, რომ: „ჩვენ სიამოვნებით მოვიდოდით, მაგრამ დღეს ჩემი მეუღლე ცოტა შეუძლოდა“, ან „ეს საინტერესოა, მაგრამ მე უნდა შევასრულო სამუშაო, რომელიც სახლში მაქვს წამოღებული“.

რამდენადაც ოჯახი და სამსახური ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენენ, ადვილი გასაგებია თუ როგორ შეიძლება აქ თავი კონფლიქტმა იჩინოს. ადამიანთა უმრავლესობა თავს ართმევს ამ კონფლიქტს იმის წყალობით, რომ ოჯახი და სამსახური ერთმანეთისაგან დაშორებულია, ისინი ერთად არ არიან. ამ დაშორებულობას ორი მიზანი აქვს. ჯერ-ერთი, როგორც წესი, ჩვენ უფრო პროდუქტიულად ვმრომობთ ოფისსა და ქარხანაში, ვიდრე სახლში. მეორე, ოჯახის წევრები ვერ ხედავენ თუ როგორ ვიქცევით ჩვენ სამსახურში, ხოლო თანამშრომელთა უმრავლესობამ არ იცის თუ რა ხდება მათი კოლეგების ოჯახებში.



როლების ამ ორ სისტემას შორის გაყოფა მათ როლურ კონფლიქტს ამცირებს. კონფლიქტის აღმოცენება გამოიწვევს უსიამოვნებას როგორც სახლში, ასევე სამსახურში. მაგალითად, ფილმში „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, ერთ-ერთი მოსამსახურე, რომელიც მეუღლემ მიატოვა, იძულებულია ერთდროულად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა და საკუთარ შვილს მოუაროს. უფროსთან რაღაც საკითხის განხილვისას მას შვილი ურეკავს და ტელევიზორის ყურების გახანგრძლივების ნებას ითხოვს, სანამ თანამშრომელი შვილთან მოილაპარაკებს, უფროსი ბრაზობს.

არსებობს როლური კონფლიქტის შესუსტების უფრო დახვეწილი საშუალება. ერთ-ერთი მათგანია ხუმრობა. ოჯახის შიგნით აღმოცენებული როლური კონფლიქტი დაძაბულობას იწვევს. თუ მეუღლე გვიან და ნასვამი ბრუნდება სახლში ან ჭირვეულობს სიდედრი, ხუმრობა დაძაბულობას შეასუსტებს. ხუმრობებში „შერწყმულია ჩვენი კეთილგანწყობა მეორე ინდივიდისა და მისი ამა თუ იმ ქცევისადმი უარყოფითი დამოკიდებულება; ისინი კონფლიქტურ სიტუაციებში ჩასახული დაპირისპირების დავძლევაში გვხმარებიან“.

სოციალური ინსტიტუტები: საზოგადოებრივი წყობა.

აქამდე ჩვენ ინტერაქციის პერსონალური მოდელებიდან მივემართებოდით როლებით განსაზღვრული ქცევის უფრო ფორმალური მოდელების ანალიზისაკენ. ფორმალური როლების უფრო დიდი გაერთიანების შესწავლისას ჩვენ მივადგებით ისეთ ცნებას, როგორცაა სოციალური ინსტიტუტი.

ინსტიტუტი ეწოდება გარკვეული სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შექმნილ როლებისა და სტატუსების ერთობლიობას. ჩვენ ვცხოვრობთ უკიდურესად ინსტიტუციონალიზებულ საზოგადოებაში. მაგალითად, ინსტიტუტს წარმოადგენს ჩვენი განათლების სისტემა. აქ ერთი თაობიდან მეორეზე ცოდნისა და კულტურის ღირებულებების გადაცემის რესურსები და როლები იგულისხმება. ეკონომიკური ინსტიტუტები საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ და ანაწილებენ. ოჯახი ასევე წარმოადგენს ინსტიტუტს-ის საზოგადოების ახალ წევრებს ქმნის. ურთიერთქმედების უმარტივესი სახეებიდან რთული ინსტიტუტები იქმნება. შემდეგში ჩვენ ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ. მოცემულ თავში კი ინსტიტუტების ზოგიერთ ზოგად თვისებებს გავეცნობით.



სოციალური მოთხოვნილებები და სოციალური ინსტიტუტები.

სოციალური ინსტიტუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი „სოციალურ მოთხოვნილებებთან“ მისი შესაბამისობაა. როგორც ჩანს, ადამიანებსკოლექტიური გაერთიანებების - ერთობებისა და საზოგადოებების გარეშე არსებობა არ შეუძლიათ და მათ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ. ეს ტენდენცია ალბათ ადამიანების ერთმანეთთან ბიოლოგიური დამოკიდებულებით, გადარჩენის მიზნით თანამშრომლობით და შრომის დანაწილებით, ასევე ერთმანეთთან სიმბოლური კომუნიკაციებით ურთიერთობის დაამყარების განსაკუთრებული უნარითაა გაპირობებული. მაგრამ, ინდივიდუალურთან შედარებით, კოლექტიური ცხოვრების დიდი უპირატესობის მიუხედავად, საზოგადოების შენარჩუნება არ არის ავტომატური პროცესი. საზოგადოების ენერჯის ნაწილი თვითშენახვასა და კვლავწარმოებაზე მოდის. ამასთან დაკავშირებით მკვლევარებმა „სოციალური მოთხოვნილების“ ანუ „სოციალური ფუნქციის“ ცნება შემოიღეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების პრაქტიკულად ყველა თეორეტიკოსი მიისწრაფოდა განესაზღვრა თუ რა არის აუცილებელი საზოგადოების ცხოველმყოფელობისათვის. კარლ მარქსს მიაჩნდა, რომ საზოგადოების საფუძველია არსებობის მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ ერთობლივი მოღვაწეობითაა შესაძლებელი; ამის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. სხვა სიტყვებით, საზოგადოების ტიპს არსებობის მატერიალურ საშუალებათა მოპოვების მიზნით ადამიანთა მოღვაწეობის ორგანიზების წესი განსაზღვრავს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა თეორეტიკოსი სოციალურ მოთხოვნილებებს განსხვავებულად უდგება. ჰერბერტ სპენსერი, რომელიც საზოგადოებას ბიოლოგიურ ორგანიზმს ადარებდა, „გარემომცველ მტრებსა და მძარცველებთან“ საომრად „აქტიური დაცვის“ მოთხოვნებს (საუბარი ეხება სამხედრო საქმეს), „საარსებო საშუალებების საფუძველად“ (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა) საქმიანობის მოთხოვნას, გაცვლის მოთხოვნას (ანუ ბაზრებს) და ამ განსხვავებული საქმიანობის კოორდინაციის მოთხოვნას (ე.ი. სახელმწიფოს) გამოყოფს.

ბოლოს, თანამედროვე მკვლევარებმა, გ. და ჯ. ლენსკებმა, საზოგადოების მთლიანობისათვის აუცილებელი ელემენტების შემდეგი სია შეადგინეს.

1. კომუნიკაცია საზოგადოების წევრებს შორის, ყველა საზოგადოებაში არსებობს საერთო სალაპარაკო ენა.
2. საქონლისა და მომსახურების წარმოება, საზოგადოების წევრთა არსებობისთვის.
3. ამ საქონლისა და მომსახურების განაწილება.



4. საზოგადოების წევრთა ფიზიკური საშიშროებებისაგან (შტორმი, წყალდიდობა და სიცივე), სხვა ბიოლოგიური ორგანიზმებისა (მაგალითად, მავნე მწერებისაგან) და მტრებისაგან დაცვა.

5. გამოკლებულ წევრთა შეცვლა ბიოლოგიური გამრავლებისა და ინდივიდების მიერსოციალიზაციის პროცესში კულტურის ათვისების გზით.

6. კონტროლი საზოგადოების წევრთა ქცევაზე კონფლიქტების დარეგულირებისა და შემოქმედებითი საქმიანობის პირობების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული სოციალური მოთხოვნები ავტომატურად არ დაკმაყოფილდება. ამისათვის საჭიროა საზოგადოების წევრთა ერთობლივი ძალისხმევა, რასაც ანხორციელებენ ინსტიტუტები. ეკონომიკური ინსტიტუტები ბაზრებისა და სამრეწველო გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ჩათვლით აკმაყოფილებენ 2 და 3 მოთხოვნებს, თანახმად გ. და ჯ. ლენსკების კლასიფიკაციისა. ოჯახი და სასწავლო ინსტიტუტები საჭიროა მეხუთე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სამედიცინო ინსტიტუტები იცავენ საზოგადოების წევრებს და მათ ბიოლოგიურ კვლავწარმოებას (მეანობისა და პედიატრიის დახმარებით). ბოლოს, სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (სასამართლო, პოლიცია, ციხეები) აკონტროლებენ საზოგადოების წევრების ქცევებს.

რესურსები და ინსტიტუტები. სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ინსტიტუტები, არა მხოლოდ ადამიანთა ერთობლივ საქმიანობას აწესრიგებენ, არამედ ასევე იმ რესურსების გამოყენებას არგულირებენ, რაც საზოგადოებას გააჩნია. განვიხილოთ, მაგალითად, ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც კომერციული ფირმების, სამრეწველო ორგანიზაციების საქმიანობასთან, ოჯახურ ფერმებთან და სხვა ორგანიზაციებთან არიან დაკავშირებული. ეკონომისტების აზრით მათ, საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის აუცილებლად ოთხი სახის რესურსი სჭირდებათ:

- 1) მიწა ან ბუნებრივი რესურსებისა და ტექნიკური ცოდნის ერთობლიობა;
- 2) შრომა ან ადამიანთა მოტივაცია და ჩვევები;
- 3) კაპიტალი ან სიმდიდრე, რომელსაც დააბანდებენ წარმოებაში;
- 4) ორგანიზაცია ან პირველი სამი ტიპის რესურსების კოორდინირება.

რესურსები აუცილებელია ყველა ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, ოჯახი ვერ იარსებებს ზოგიერთი აუცილებელი პირობების გარეშე: ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მშობლებსა და შვილებს შორის სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობა, ასევე, შიდასაოჯახო კონფლიქტის დარეგულირების უფლების აზრიანი გამოყენება (ყოველი მშობლის მიერ).



საგანმანათლებლო ინსტიტუტებს სჭირდება შესაბამისი ცოდნისა და ერუდიციის მასწავლებლები, აუდიტორიები, სპორტის დარბაზები და მოსწავლეთა თუნდაც მინიმალური სურვილი მიიღონ განათლება და სპეციალობა.

მაშასადამე, ინსტიტუტები საზოგადოების რესურსების გამოსაყენებლად ურთიერთობის (ინტერაქციის) ფორმებით შექმნილი სოციალური წარმონაქმნებია, რათა ესა თუ ის სოციალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს. ინსტიტუტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სოციალური როლების მეტნაკლებად პროგნოზირებად სახეებზე დაყვანის გზით ადამიანთა საქმიანობის სტაბილიზირებაა, ოჯახში არის ქმრის, ცოლის, დედის, მამის, ქალიშვილის, დის, ბიძაშვილის, ბიძისა და დეიდის, მამიდის და ასე შემდეგ, როლები. ყველა მათგანი ერთმანეთთან უამრავი უფლებებითა და ვალდებულებებითა დაკავშირებული, რაც იმ ადამიანთა ინტერაქციის (ურთიერთობის) ხასიათს განსაზღვრავს, რომლებიც გარკვეულ ინსტიტუტებში არიან ჩართული, ესაა: დედისა და შვილის, ბიძაშვილობის, ბიძა-დიშვილის და სხვა ინსტიტუტები. საგანმანათლებლო ინსტიტუტში მრავალი როლი ზუსტად ასევეა განსაზღვრული, ესაა: მასწავლებლის, მოწაფის, ადმინისტრატორის, მდივნის, დარაჯის და სხვა; მათი ათვისებისათვის სწორედ ამ როლის შემსრულებელი ადამიანების გარკვეული სახის ურთიერთობებია აუცილებელი.

მაგრამ, ინსტიტუტების მოყვანილ დახასიათებას გარკვეული აზრით შეცდომაში შევყავართ. ინსტიტუტები წარმოდგენილია, როგორც სავსებით მდგრადი და უცვლელი წარმონაქმნები. ამიტომ, ამ ნაწილში საჭიროა ინსტიტუტების ნაირგვარობა და ცვალებადობა ავლნიშნოთ. პრიმიტიულ და მიწათმოქმედების საზოგადოებებში ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ძირითადად ოჯახის ინსტიტუტითა და ნათესაური კავშირების სისტემით ხორციელდებოდა, რომელთა ჩარჩოებშიც ძირითადი საწარმოო საქმიანობა მიმდინარეობდა. მაგალითად, გლეხთა ოჯახებში მშობლები, შვილები და სხვა ნათესავები ერთად მუშაობდნენ თავიანთ ფერმებში; მათ აზრდაც კი არ მოსდიოდათ „დაქირავებული შრომის“ გამოყენება, ე.ი. იმ ადამიანისა, რომელიც მათი ნათესავი არ არის. კომერციულ და სამრეწველო საზოგადოებებში ოჯახის, როგორც მრეწველის როლი კლებულობს, ის საოჯახო მეურნეობით და ბავშვების აღზრდით შემოიფარგლება; საქონლისა და მომსახურების წარმოებას ძირითადად ოჯახებისგან განცალკევებული ის ორგანიზაციები ანხორციელებს, როგორებიცაა ფაბრიკები და ქარხნები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტები ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებენ მდგრადობას. მათზე გავლენის მქონე პირობები მუდმივად იცვლება. რაც შეეხება მედიცინის ინსტიტუტებს, აქ ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, მაგალითად, სკანირებისა და თირკმელების დიალიზის ხელსაწყოებისა, გაჩნდნენ არა მხოლოდ ახალი როლები (ვთქვათ, სამედიცინო ტექნიკის სპეციალისტები), არამედ შეიცვალა ტრადიციული მიმართება ექიმსა და პაციენტს შორის: ის პაციენტისა და



საავადმყოფოს მრავალრიცხოვანი პერსონალის ურთიერთობამ ჩაანაცვლა. რენიმაციულმა ტექნოლოგიამ ექიმების მიერ პაციენტის გადარჩენის საშუალებები არა მხოლოდ კარდინალურად შეცვალა, არამედ ადამიანის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობის საქმეში ახალი ეთიკური პრობლემები წარმოშვა. მაგალითად, ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას გამორთოს რენიმაციული აპარატი, თუ პაციენტი დაკარგა რა ცოცხალი ორგანიზმის ყველა თვისება უიმედო მდგომარეობაშია, - ოჯახის წევრმა, ექიმმა თუ თანამდებობის პირმა, რომელიც შუამავლად გვევლინება, ვთქვათ მოსამართლემ.

ავიღოთ სხვა მაგალითი: შობადობის შემცირებასა და მოსახლეობის საშუალო ასაკის სავარაუდო კლებასთან დაკავშირებით, თანამედროვე ოჯახი 2-3 შვილით, რომლებიც აუცილებლად მიაღწევენ ხანდაზმულობას, წინა 8-9 შვილიანი ოჯახებისაგან, რომელთაგან უმრავლესოვა დაბადებისას ან ბავშვობაში იღუპებოდა, მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ინსტიტუტების ცვალებადობის მნიშვნელობას ჩვენ ხაზი გავუსვით, მათ დეტალურად იქ გავაანალიზებთ (სადაც ოჯახის, რელიგიის, განათლების ინსტიტუტებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს შევხებით). დასკვნით ნაწილში სოციალური ცვლილებების თემას კვლავ დავუბრუნდებით და ინსტიტუტების ცვალებადობის საკითხსაც აქვე ჩავრთავთ .

მეთოდები და გაზომვა.

გამოკითხვის მსვლელობაში „ფაქტების“ შეგროვება. როგორც ჩანს, სოციოლოგებისათვის ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყაროა გამოკითხვა, სადაც ინტერვიუერი გენერალური ერთობიდან შერჩეულ ადამიანებს ერთს ან რამდენიმე კითხვას უსვამს, მაგალითად, აბორტებთან მიმართების შესახებ. მას მერე რაც ეს მიმართება გაირკვევა, მას ხშირად რესპოდენტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით: მათი ასაკით, რელიგიური რწმენით ან სოციალური მდგომარეობით ხსნიან.

მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ გამოკითხვის საფუძველზე მიღებული მონაცემები მცდარია რამოდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ადამიანები ზოგიერთ კითხვებს უფრო ზუსტად პასუხობენ, ვიდრე სხვა კითხვებს. რესპოდენტები ზუსტად გეტყვიან თუ რას იხდიან გაზის, ელექტროობის, ბინის, ავტომანქანის თუ სამედიცინო მომსახურებაში. მაგრამ, ჩვეულებრივ ამცირებენ სპირტიან სასმელზე გადახდილი თანხის სიდიდეს. ადამიანები ადიდებენ თავიანთ ხელფასებს ან თანამდებობებს, ჩვეულებრივ ტრაბახობენ, რომ ბევრს მოგზაურობენ, დაფრინავენ თვითმფრინავებით ან მოგზაურობენ საოკეანო ლაინერებით, რაც ასე არაა; როგორც წესი, შვილებზე საუბრისას ზომას კარგავენ; რაც შეეხება სექსუალურ ცხოვრებას, კმაყოფილები ერთნაირად პასუხობენ ურთიერთობათა სიხშირეზე, უკმაყოფილონი სხვადასხვაგვარად.



ადამიანები უფრო ხალისით ლაპარაკობენ ე.წ. „ნეიტრალურ“ დაავადებებზე, როგორცაა ასთმა ან გულის პრობლემები, ვიდრე სასაუბროდ უხერხულ დაავადებებზე, ფსიქიკურ მოშლილობაზე ან შარდმდენი მილებისა და სასქესო ორგანოების პრობლემებზე.

პასუხებზე გავლენას ინტერვიუერის თავისებურებები ახდენს. შეიძლება ისე მოხდეს, რომ პოლიტიკურ საკითხებზე კითხვა ჟურნალისტმა თავის შეხედულებებს მოარგოს, აქ გამოკვლევის ვალიდობის, ჭეშმარიტობის თაობაზე ეჭვი ჩნდება. პასუხების დროს ადამიანები ინტერვიუერის სქესს, ეროვნებას, მრწამსს ითვალისწინებენ, რადგან ცდილობენ მასთან ურთიერთგაგებას მიაღწიონ. მაგალითად, რასობრივ პრობლემებზე საუბრისას ზანგი ჟურნალისტი შავკანიანებისაგან უფრო გულახდილ პასუხებს მიიღებს, ვიდრე თეთრკანიანი სოციოლოგი. თუ ინტერვიუერი „ებრაელსა გავს“ ან აქვს „ებრაული გვარი“, მოპასუხე ჩვეულებრივ ფარავს თავის ანტისემიტურ პოზიციას, რასაც არაებრაელ ჟურნალისტთან საუბრის დროს არ დამალავდნენ. სხვა სიტყვებით, ადამიანები ისე პასუხობენ სოციოლოგს, როგორც მათი აზრით სოციოლოგს უნდა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ პასუხებში რეალობის დამახინჯების საშიშროება არსებობს და ნათელი ხდება, რომ მოცემული მეთოდი ფაქტობრივი მასალის შეგროვების აბსოლუტურად ობიექტური საშუალება არ არის, ე.ი. კიდევ ერთხელ მტკიცდება თუ რა ძნელია ადამიანებისაგან იმის გაგება თუ რას ფიქრობენ ისინი.

თუ ზომებს მივიღებთ, შეიძლება გამოკითხვის მეთოდით მიღებულ მონაცემთა მცდარობა მინიმუმამდე დავიყვანოთ. მკვლევარს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის შეგროვება და ადრინდელთან შედარება. თუ კვლევაში ჩართულია სხვადასხვა სქესის, ასაკის, მრწამსის ინტერვიუერები, შედეგების ანალიზში შეიძლება ეს განსხვავება გამოჩნდეს და გათვალისწინებული იქნას. გამოკითხვის შედეგების ანალიზისას შესაძლებელია კორექტივების შეტანა. ასეთი საშუალებებით შერჩევითი მეთოდით ჩატარებული გამოკითხვის ეფექტურობა შეიძლება ამაღლდეს.

საზოგადოება

ამ წიგნში სოციალური ინსტიტუტების გარდა ჩვენ სოციალური ორგანიზაციების სხვადასხვა სახეებს განვიხილავთ. მათ შორისაა სოციალური ჯგუფები, ფორმალური ორგანიზაციები, სამეზობლოს კავშირები, ერთობები და საზოგადოებრივი კლასები. სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც ყველა ამათ აერთიანებს საზოგადოება - ეწოდება; ის ყველა ჯგუფების ინტეგრაციის საფუძველზე ყალიბდება, თუმცა ეს პროცესი შეიძლება სტიქიური და არცთუ სრულყოფილი იყოს.



საზოგადოების განსაზღვრება.

რა არის საზოგადოება? თუმცა ამ სიტყვას ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ადვილად ვიყენებთ (ჩვენ ვახსენებთ „ამერიკულ“ , „ფრანგულ“, „იაპონურ“ საზოგადოებას, მაგრამ ავხსნათ თუ რას ვგულისხმობთ ამ ცნებებში არც კი ვცდილობთ), მეცნიერებიც ძლივს განსაზღვრავენ ამ ცნების არსს. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „პროფესიონალურ საზოგადოებაზე“ მხედველობაში გვაქვს მსგავსი პროფესიის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საერთო ინტერესების საფუძველზე სწორედ ამ ორგანიზაციას ქმნიან. როდესაც „მაღალ საზოგადოებს“ ან „ყავისმოყვარულთა საზოგადოებას“ ვეხებით, ჩვენ საერთო ინტერესების მქონე, გარკვეული სოციალური ფენის ადამიანების სტიქიურად შექმნილ ჯგუფს ვგულისხმობთ. მაგრამ ეს ცნება სრულებით სხვა ელფერს იძენს, როდესაც „ამერიკულ საზოგადოებას“ ვახსენებთ, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული საზღვრები, საერთო საკანონმდებლო სისტემა და რაიმე ნაციონალური ერთობა გააჩნია.

შემდგომ ანალიზში ცნების სწორედ ამ ბოლო მნიშვნელობას მივაქცევთ ყურადღებას. მისი ანალიზისას მარში (1967) ცდილობდა განესაზღვრა პირობები, რის შედეგადაც სოციალური ერთობა შეიძლება საზოგადოებად ჩაითვალოს:

- 1) მუდმივი ტერიტორია - მაგალითად საფრანგეთი თავის სახელმწიფო საზღვრებში;
- 2) მოსახლეობის შევსება ძირითადად შობადობის ხარჯზე, თუმცა იმიგრაცია ასევე რაღაც როლს ასრულებს;
- 3) განვითარებული კულტურა – კულტურის მოდელები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, რათა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყველა მოთხოვნილებები (კულტურის მოდელები განიხილება მეორე თავში);
- 4) პოლიტიკური დამოუკიდებლობა – საზოგადოება რაღაც სხვა სისტემის სუბსისტემა (ქვესისტემა) არ არის, ეს მხოლოდ მცირე ზომითაა დასაშვები. (ამ კრიტერიუმის შესაბამისად, ისეთი კოლონიური საზოგადოება, როგორც ბელგიური კონგო იყო, მის მიერ დამოუკიდებლობის მიღებამდე, ასეთად ვერ ჩაითვლება).

როგორც მარში აღნიშნავს, საზოგადოების ასეთი სერიოზული განსაზღვრებაც შეიძლება სადაო გახდეს. რას ნიშნავს კრიტერიუმი „განვითარებული კულტურა“? შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქვეყნები სადაც განსხვავებული რელიგიური რწმენისა და ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობს, მაგალითად აშშ, ინდოეთი, იუგოსლავია, სინამდვილეში არ გააჩნიათ მთელი მოსახლეობის მიერ აღიარებული ღირებულებები და იდეალები, არამედ სუბკულტურათა, უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალისხმევის შედეგად წარმოქმნილ, მხოლოდ გაერთიანებებს წარმოადგენენ.



„პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ ცნება ასევე რიგ კითხვებს აჩენს. მაგალითად, კანადა და მექსიკა პოლიტიკურად დამოუკიდებლად ითვლებიან აშშ-საგან, მაგრამ მათი ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად აშშ-დან მოდის, სინამდვილეში ისინი ვერ არიან დამოუკიდებელი. უფრო მეტად ეს ცენტრალური ამერიკის ისეთ ქვეყნებს ეხება, როგორებიცაა პანამა და სალვადორი.

სხვა სოციოლოგები (აბერლე, კოენი, დევისი, ლევი და სატონი 1950; პარსონსი, 1966) მიიჩნევენ, რომ საზოგადოების ძირითადი განმსაზღვრელი თვისება „თვითუზრუნველყოფაა“. ეს კრიტერიუმი ახლოსაა „პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ კრიტერიუმთან, რომელიც მარშმა ახსენა. მაგრამ განმარტება მასაც სჭირდება. აუცილებელია არაა, რომ თვითუზრუნველმყოფმა საზოგადოებამ თავად აწარმოოს ყველა საქონელი და მომსახურება. ბევრი საზოგადოება, იაპონიის, ინგლისის, ნორვეგიის ჩათვლით დიდად არიან დამოკიდებულნი საგარეო ვაჭრობაზე. მაგრამ ყოველი საზოგადოება (ე.ი. მისი მთავრობა) უნდა ფლობდეს ვალუტას, რაც იმპორტს უზრუნველყოფს. ამგვარად, როდესაც ვსაუბრობთ „თვითუზრუნველყოფილ“ საზოგადოებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი გადახდისუნარიანობა, ვალების გადახდის შესაძლებლობა.

სიმწიფის მიუხედავად, სხვადასხვა კრიტერიუმები მართლაც გვხვდებიან, თუნდაც მიახლოებით განვსაზღვროთ „საზოგადოების“ ცნების არსი. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ის ხშირად ემთხვევა „კულტურის“ ცნებას, რომელსაც სოციალური ანთროპოლოგები იყენებენ და „ეროვნული სახელმწიფოს“ ცნებას, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერება იყენებს. მაგრამ არაა აუცილებელი კულტურა განისაზღვროს ტერიტორიული საზღვრებით ან პოლიტიკური დამოუკიდებლობით. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ „ებრაულ კულტურაზე“, თუმცა ებრაელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს ისრაელში; ამ შემთხვევაში საუბარი ეხება რელიგიურ – მსოფლმხედველობრივ ერთობასა და ცხოვრების განსაკუთრებულ სახეს. ანთროპოლოგები ლაპარაკობენ, მაგალითად მელანეზიურ კულტურაზე, თუმცა მელანეზიელები გაფანტული არიან წყნარი ოკეანის კუნძულებზე და რაიმე პოლიტიკურად დამოუკიდებელ საზოგადოებაში არ არიან გაერთიანებული.

მეორე მხრივ, „საზოგადოების“ ცნების მონათესავე ტერმინი „ეროვნული სახელმწიფო“, ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ფორმალური სამთავრობო აპარატი და რამენაირი ეროვნული ერთობა, აუცილებლად გულისხმობს. მაგრამ ამავე დროს შეიძლება დავასახელოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც არ არის სახელმწიფო, მომთაბარე ტომები ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე.



საზოგადოების ტიპები. „საზოგადოების“ ცნების განსაზღვრების სიძნელე მიუთითებს მის ზოგადსა და მოქნილ არსზე. საზოგადოებად შეიძლება მოიხსენიო შორეულ ტროპიკებში ჩაკარგული 50-კაციანი დასახლებული პუნქტის მოსახლეობა და თანამედროვე ჩინეთი, მისი უზარმაზარი ქალაქებითა და საექვოდ დაზუსტებული მილიარდნახევრიანი მოსახლეობით.

ამას გარდა, არსებობს საზოგადოების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტი. მარქსისტული ტრადიციების თანახმად, საზოგადოების ტიპი წარმოების ტიპის მიხედვით განისაზღვრება, ანუ იმის მიხედვით თუ საზოგადოების კუთვნილ ეკონომიკურ რესურსებს როგორ იყენებენ და აკონტროლებენ. (ამის შესაბამისად, მაგალითად, ფეოდალურ, კაპიტალისტურ, სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებებს ანსხვავებენ).

საზოგადოების კლასიფიცირებას შეიძლება საფუძვლად აქ გაბატონებული რელიგია (მაგალითად, მუსულმანური საზოგადოება), ან ენა (ფრანგული საზოგადოება) დაედოს. გ.ლენსკი და ჯ.ლენსკი (1970) საზოგადოების კლასიფიკაციას საარსებო საშუალებების მოპოვების წესის მიხედვით ახდენენ, ამავე დროს საზოგადოების სხვა მნიშვნელოვან თვისებებსაც ავლენენ.

1. საზოგადოება, რომელიც ნადირობისა და შეგროვების ხარჯზე ცხოვრობს. ასეთი საზოგადოებების უმრავლესობა, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ბუშმენები და ცენტრალური ავსტრალიის აბორიგენები, ჩვეულებრივ მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან თავს ნადირობით, სხვადასხვა ნაყოფებისა და საკვებად ვარგისი ფესვების შეგროვებით ირჩენენ. მათი შრომის იარაღი ძალზე პრიმიტიულია: ქვის ნაჯახები, ისრები, დანები; მათი ბარგი-ბარხანა მხოლოდ უკიდურესად საჭირო ნივთებია, რასაც მუდმივად თან ატარებენ. სოციალური ცხოვრება ნათესაურ კავშირებს ეფუძნება, ყველამ იცის ვინ ვისი და როგორი ნათესავია. პოლიტიკური სტრუქტურა აქ თითქმის არ არსებობს, სათავეში უხუცესი ან ბელადია, სხვა ძალაუფლებრივი სტრუქტურები აქ არ ჩამოყალიბდა.

2. მებაღეობა-მეზღვრობის საზოგადოება ახლო აღმოსავლეთში, დაახლოებით ოთხი ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე ჩაისახა; შემდეგ ჩინეთსა და ევროპაში გავრცელდა; დღეისათვის ის შემორჩენილია აფრიკაში, საჰარის სამხრეთით. მებაღეობის ყველაზე პრიმიტიულ საზოგადოებებში რკინის იარაღი და კავი არ გამოიყენება, შედარებით განვითარებულში რკინის

იარაღი აქვთ, კავი(გუთან) კი არც აქ არ გამოიყენება. ისევე როგორც მონადირეთა საზოგადოებაში, ზედმეტი პროდუქტი აქაც არ იქმნება; პრიმიტიული იარაღი არ იძლევა ზედმეტი სიმდიდრის შექმნის შესაძლებლობას. მებაღეობის საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა ორ ფენას ითვლის, შედარებით განვითარებულ საზოგადოებაში მათი რიცხვი ოთხ ან ხუთს აღწევს. ამ სოციუმების სოციალური სტრუქტურის საფუძველი



კვლავ ნათესაური კავშირებია, მაგრამ აქ შედარებით გართულებულია; ზოგჯერ ეს საზოგადოება მრავალ კლანს ითვლის, ურთიერთობები გართულებულია, აქვთ წესები, რომლებიც სხვადასხვა კლანების წარმომადგენელთა შორის ქორწინების საკითხებს არეგულირებენ.

3. აგრარული საზოგადოება პირველად ძველ ეგვიპტეში ჩაისახა, რასაც, პირველ რიგში სრულყოფილი სახნავი იარაღი და სამუშაო ძალად ცხოველების გამოყენება უწყობდა ხელს. სოფლის მეურნეობის გაზრდილი პროდუქტულობის წყალობით ეს საზოგადოებები უფრო მეტ პროდუქტს აწარმოებდნენ ვიდრე სჭირდებოდათ. მოჭარბებული პროდუქტის გაჩენამ ხელი შეუწყო ქალაქების აღმოცენებას, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. აგრარული საზოგადოების საფუძველზე ჩნდება სახელმწიფო (რომელმაც შეზღუდული სიდიდის ბიუროკრატიული აპარატი და არმია ჩამოაყალიბა), შექმნეს დამწერლობა, გაჩნდა პირველი ფულადი სისტემები და გაიშალა ვაჭრობა. თანდათანობით რთულდება პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები, ამიტომ ნათესაური კავშირები აღარ არიან სოციალური სტრუქტურის განმსაზღვრელი. თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნათესაური კავშირები დიდ როლს ასრულებენ; მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობები მამიდან შვილზე გადადის, კომერციული დაწესებულებების უმრავლესობა ოჯახურია. მიწათმოქმედ საზოგადოებაში ოჯახი ძირითად მწარმოებელ ერთეულად კვლავაც რჩება.

4. სამრეწველო საზოგადოება მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, XVIII საუკუნის დასასრულს, ბრიტანეთის ინდუსტრიალიზაციის გავლენით აღმოცენდა. ყველაზე მოწინავე სამრეწველო საზოგადოებები ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში (აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით), აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია, ტაივანი, ჰონგ კონგი, სამხრეთ კორეა) ჩამოაყალიბდნენ; სხვა ბევრ ქვეყანაში, მაგალითად ინდოეთში, მექსიკაში, ბრაზილიაში და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ასევე მნიშვნელოვან ინდუსტრიალიზაციას ქონდა ადგილი. ისევე, როგორც მებაღეობის საზოგადოებიდან აგრარულზე გადასვლის პროცესში გადამწყვეტი როლი ახალი ტექნოლოგიებისა და ენერჯის წყაროებმა შეასრულა, სამრეწველო საზოგადოებების ჩასახვის პროცესშიც იგივე მოხდა. სამრეწველო პროცესი მეცნიერული ცოდნის გამოყენებასთანაა დაკავშირებული; ადამიანებისა და ცხოველების ძალა სითბური ენერჯის (ქვანახშირის), ასევე ელექტრო და შემდეგ ბირთვული ენერჯის გამოყენებამ შეცვალა.

ზედმეტი სიმდიდრე, რომელიც მრეწველობის მიერ იქმნება, ბევრად აღემატება იმ სიმდიდრეს, რომელსაც სხვა ტიპის საზოგადოებები ქმნიდა. ეს საშუალებას იძლევა დიდ ქალაქებში კონცენტრირებული ადამიანთა უზარმაზარი მასები საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნეს. სამრეწველო ქვეყნების უმრავლესობაში მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სისტემები, ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი და



მძლავრი შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდა. ინდუატრიალიზაცია ოჯახის შემდგომ შესუსტებას განაპირობებს. როგორც ქვევით

ვნახავთ, ინდუსტრიალიზაციის პროცესში ოჯახი მისთვის დამახასიათებელ ბევრ ფუნქციას კარგავს, რომლებსაც ახალ პირობებში სხვა ინსტიტუტები ახორციელებენ, მაგალითად, სოციალიზაციის პროცესის რეგულირება ძირითადად სასწავლო ინსტიტუტებით ხდება.

„გემინშაფტი“ და „გეზელშაფტი“. საზოგადოების ოთხი ტიპის ეკონომიკური, პოლიტიკური და ნათესაობრივი თავისებურებების აღწერა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსხვავებული სოციალური ინსტიტუტები ერთმანეთთან, დაკავშირებული არიან ანუ ისინი განსაკუთრებულ თანხმობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ბევრი სოციალ-თეორეტიკოსი იზიარებს ამ თვალსაზრისს, კერძოდ, ამ პოზიციიდან ცდილობენ ისინი სამრეწველო და წინა საზოგადოებებს შორის ძირითადი განსხვავება განსაზღვრონ. ეს არცაა გასაკვირი, ისინი ხომ თავიანთ შრომებს სამრეწველო რევოლუციების დროს წერდნენ, რომელმაც დასავლეთის საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს სახე შეუცვალა.

მრეწველობის წინა პერიოდისა და თანამედროვე საზოგადოების დაპირისპირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა გერმანელმა სოციოლოგმა ფერდინანდ ტიონისმა (1855-1936) ჩაატარა. მან შემოიღო ცნებები „გემინშაფტი“ (Gemeinschaft) და „გეზელშაფტი“ (Gesellschaft), (ითარგმნება როგორც – „თემურობა“ და „საზოგადოება“), რომლებიც ტრადიციულსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის განსხვავებას გამოხატავენ. უფრო ზუსტად, ტერმინი „გემინშაფტი“ სოფლის თემს, ხოლო „გეზელშაფტი“ ქალაქურ სამრეწველო საზოგადოებას აღნიშნავს. რა განასხვავებს ძირითადად „გემინშაფტს“ და „გეზელშაფტს“?

1.) თუ ვისაუბრებთ ინდივიდუალურ მოტივაციაზე, „გემინშაფტი“ ხელს უწყობს ადამიანების სწრაფვას თემური პრინციპების შესაბამისად იცხოვრონ, მაგალითად, მოსავლის ადებისას გლეხები ოჯახებით ერთმანეთს უფასოდ ეხმარებიან. „გეზელშაფტის“ ტიპის საზოგადოება პიროვნული ინტერესების რაციონალურ განხორციელებას ეფუძნება, ინდივიდები ურთიერთობენ საქმიან, უსახურ ვითარებაში და გარკვეულ საქონელსა და მომსახურებაზე ანგარიშს ფულით ასწორებენ.

2.) სოციალური კონტროლის სფეროში „გემინშაფტი“ გადამწყვეტ მნიშვნელობას ტრადიციულ ადათ-წესებს, რწმენასა და დაუწერელ კანონებს ანიჭებს, მაშინ, როდესაც „გეზელშაფტი“ - ეს ფორმალურ სამართალზე დაფუძნებული საზოგადოებაა.



3.) შრომის დანაწილების სფეროში „გემინშაფტის“ ტიპის საზოგადოება შეზღუდული სპეციალიზაციით გამოირჩევა, რაც ძირითადად ნათესაურ კავშირებს ეფუძნება, ჩვეულებრივ, მეურნეობაში ქმარს, ცოლსა და შვილებს თავიანთი მოვალეობები აქვთ. „გეზელშაფტის“ ტიპის საზოგადოებისათვის პროფესიონალური როლების სპეციალიზაციაა დამახასიათებელი და ეს საოჯახო როლებს არ ემთხვევა.

4.) „გემინშაფტის“ საზოგადოებაში კულტურა რელიგიურ ღირებულებებს, „გეზელშაფტში“ კი საერო ღირებულებებს ეფუძნება.

5.) „გემინშაფტის“ საზოგადოებაში ძირითადი სოციალური ინსტიტუტებია ოჯახი, მეზობლები და თემი; „გეზელშაფტში“ კი დიდი გაერთიანებები და ასოციაციები (მთავრობა, საქმიანი წრე, პოლიტიკური პარტიები, ნებაყოფილობითი ასოციაციები).

ტიონისის დიხოტომია (და სხვა მსგავსი გამოკვლევები) ორი კუთხით იქნა გაკრიტიკებული. ჯერ - ერთი, ეს არის დიდი გამარტივება. „გემინშაფტის“ ტიპის საზოგადოებები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; იაპონური ფეოდალიზმი განსხვავდება გერმანულისაგან, და ორივე მათგანი მრეწველობის წინა ეპოქის საზოგადოებებისაგან განსხვავდებიან. გარდა ამისა, ყოველ თანამედროვე საზოგადოებაში ორივე მათგანის, „გემინშაფტისა“ და „გეზელშაფტის“ ელემენტებს აქვს ადგილი. პირველი არსად არ ქრება.

მეორე, ასეთი დიხოტომიები საზოგადოებას, როგორც მდგრად მთლიანობას განიხილავენ, არ ითვალისწინებენ დაპირისპირების, დეზორგანიზაციისა და კონფლიქტების ალბათობას, რაც გარკვეული დოზით ყველა საზოგადოებას ახასიათებს. ფაქტობრივად, საზოგადოების მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ფონზე ეს დიხოტომია საეჭვო ხდება. ამგვარად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ეროვნებათშორისი ასპექტის შესაწავლა, ე.ი. შედარებითი ანალიზი ხდება. ჩვენ ამ კრიტიკას ქვემოთ დავუბრუნდებით, იქვე ზემოთხსენებული განსხვავებების შესახებ უკანასკნელ წლებში ჩატარებულ სერიოზულ გამოკვლევებს გავეცნობით.

მოკლე შინაარსი.

1). სტატუსი ეწოდება ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. ადამიანს შეიძლება ქონდეს რამდენიმე სტატუსი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მთავარია, განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. დაბადებიდან მიღებულ სტატუსს მიწერილი (თანდაყოლილი) ეწოდება; სტატუსს, რომელსაც შეიძენს რაიმეს განხორციელების შედეგად ეწოდება მიღწეული.



2). როლი – ეს არის გარკვეულ სტატუსთან დაკავშირებული მოსალოდნელი ქცევა. მოცემული სტატუსისათვის დამახასიათებელი როლების ერთობლიობას როლური სისტემა ეწოდება. ჩვენი როლებისხვა ადამიანების მოლოდინებითაა განსაზღვრული. ზოგიერთი მოლოდინი, მაგალითად, კანონი, არის ფორმალური, სხვა, ვთქვათ, მაგიდასთან ქცევის ნორმები – არაფორმალურია. როდესაც ადამიანის ქცევა შეესაბამება როლით მოსალოდნელს, ის სოციალურ წახალისებას (ფულს ან პატივისცემას) ღებულობს.

3). პარსონსმა, ხუთ ძირითად მახასიათებელზე დაყრდნობით როლების კლასიფიკაცია მოგვცა.

1.ზოგიერთო როლები მოითხოვენ ემოციურ თავშეკავებას, მაშინ, როდესაც სხვა როლი გრძნობათა აშკარად გამოხატვას უშვებს. 2.არსებობენ მიწერილი როლები, არსებობს მიღწეულიც.3.ზოგიერთი როლი შეზღუდულია, სხვები დიფუზური ხასიათისაა.

4.ზოგიერთი როლი გულისხმობს ადამიანებთან ურთიერთობას ფორმალური წესებით, სხვები ნებას რთავენ

დაამყარონ არაფორმალური პირადი ურთიერთობები 5.განსხვავებული როლები დაკავშირებულია განსხვავებულ მოტივაციასთან.

4). არც ერთი როლი (ფორმალური თუ არაფორმალური) ქცევის მკაცრად ფიქსირებულ მოდელს არ წარმოადგენს. უფრო კი ქცევა არის მოცემული პიროვნების მიერ როლური მოლოდინის გაგების შედეგია. სიმბოლური ინტერაქციონიზმისა და ეთნომეთოდოლოგიის მომხრენი როლურ მოლოდინსა და ინდივიდის ქცევას შორის კავშირის მოქნილ ხასიათს უსვამენ ხაზს.

5). როდესაც ადგილი აქვს ორი ან მეტი შეუსაბამო როლების ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნებს, ჩნდება როლური კონფლიქტი. ერთი და იგივე როლით შექმნილი დაპირისპირებული მოთხოვნები შეიძლება როლური დამაბულობის მიზეზი გახდეს. არსებობს როლური კონფლიქტის დამღევის რამდენიმე საშუალება: ზოგიერთი როლები უნდა ჩაითვალოს სხვა როლებზე მნიშვნელოვნად; განაცალკევო სახლი და სამუშაო ადგილი და ასევე როლები აქ; კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას ხელს უწყობს ხუმრობა.

6). ინსტიტუტები ეწოდება გარკვეული სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამიზნული როლებისა და სტატუსების ერთობლიობას. ადამიანები ვერ იარსებებენ გრძელვადიანი კოლექტივების შექმნის გარეშე. მარქსს მიაჩნდა, რომ თავიანთი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანებიერთობლივად ორგანიზებული საქმიანობის წყალობით პირობებს ქმნიან , ამის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა. სპენსერი მოთხოვნილებებს მნიშვნელოვნად,,აქტიურ



თავდაცვაში” და „ცხოვრებისეული რესურსების ზოგად უზრუნველყოფაში”, მოღვაწეობის სხვადასხვა სახეების კოორდინირებაში ანიჭებდა. გ.ლენსკი და ჯ.ლენსკისაზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ ექვს ელემენტს გამოყოფენ:

1.ურთიერთობა მის წევრებს შორის; 2.საქონლისა და მომსახურების წარმოება; 3.განაწილება;

4.საზოგადოების წევრთა დაცვა; 5.გამოკლებულ წევრთა შეცვლა; 6.მათი ქცევის კონტროლი.

7). საქონლის წარმოებისათვის აუცილებელია ოთხი სახის საზოგადოებრივი რესურსი: მიწა, შრომა, კაპიტალი და ორგანიზაცია. ერთი ან რამდენიმე სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივი რესურსების გამოყენების მიზნით, ინსტიტუტები ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის მდგრად ფორმებს ქმნიან. ინსტიტუტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ადამიანთა მოღვაწეობის სტაბილიზაციაა, რომლის საფუძველზე როლური ქცევის მეტნაკლებად მყარი მოდელები ყალიბდება.

8). სიტყვა „საზოგადოებას” ბევრი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მარში შეეცადა გაერკვია პირობები, როდესაც სოციალური გაერთიანება საზოგადოებად იქცევა. ეს პირობებია:

1. მუდმივი ტერიტორია;

2. საზოგადოების შევსება ძირითადად შობადობის ხარჯზე;

3. განვითარებული კულტურა;

4. „პოლიტიკური” დამოუკიდებლობა.

გ.ლენსკი და ჯ.ლენსკი გვამლევენ საზოგადოების კლასიფიკაციას, დაფუძნებულს არსებობის საშუალებების მოპოვების ფორმებზე: მონადირეთა და შემგროვებელთა საზოგადოება, მებაღეობის, აგრარული და სამრეწველო.

9). ტიონისი იკვლევდა ადამიანთა კავშირების თავისებურებებს ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებში და „გემაინშაფტისა” და „გეზელშაფტის” ცნებები შემოიტანა. პირველიგლახთა თემს, მეორე კი ინდუსტრიულ, ქალაქურ საზოგადოებას ნიშნავს. მათ შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

1. „გემაინშაფტის” ტიპის საზოგადოებაში ადამიანები თემური აუცილებლობებით ცხოვრობენ, „გეზელშაფტში”—ყოველი კი პირად მოგებას ეფუძნება;



2. პირველი ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, მეორე – ფორმალურ კანონებს ეფუძნება;
3. პირველში შეზღუდულია სპეციალიზაცია, მეორეში სპეციალიზირებული პროფესიონალური როლები ყალიბდება;
4. პირველი რელიგიურ, მეორე კი საერო ღირებულებებს ეფუძნება;
5. პირველი ტიპის საზოგადოების მთავარი ინსტიტუტებია ოჯახი და თემი, მეორე ტიპის საზოგადოების საფუძველია დიდი კორპორაციები, ადამიანთა ასოციაციური გაერთიანებები.

10). ცალკეული საზოგადოებების სტრუქტურისა და დინამიკის გარდა აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებრივი სისტემების უფრო ღრმა ცოდნა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელი მზარდი ინტერნაციონალიზაციის ფონზე.

ჰერბერტ სპენსერი

XIX საუკუნის ფილოსოფოსი და სწავლული. ჰერბერტ სპენსერმა მნიშვნელოვანი როლი შესრულა რამდენიმე მეცნიერული დისციპლინის განვითარებაში, სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის ჩათვლით. ის დაიბადა დერბიში, ინგლისის ცენტრალურ ადმინისტრაციულ რეგიონში, განათლება მიიღო ოჯახში, მამისა და ბიძის ხელმძღვანელობით. ადრინდელი ასაკიდან გამოავლინა მეცნიერებისადმი ინტერესი, 17 წლიდან მუშაობა ლონდონისა და ბირმინგემის დამაკავშირებელ რკინიგზაზე დაიწყო, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ ინჟინრის თანამდებობა მიიღო. შემდეგ დაიწყო მისი მრავალწლიანი სამწერლო და სარედაქტორო საქმიანობა. რკინიგზის მშენებლობის დროს წარსულის გაქვამბეული ნაშთების აღმოჩენის შემდეგ ევოლუციის პროცესით დაინტერესდა. მასზე ღრმა გავლენა დარვინის ევოლუციურმა თეორიამიქონია. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს თეორია შეიძლება სამყაროს განვითარების ყველა ასპექტს მიეყენოს, საზოგადოების ისტორიის ჩათვლით. ის საზოგადოებას ბიოლოგიურ ორგანიზმს, ხოლო საზოგადოების ცალკეულ ნაწილებს (განათლება, სახელმწიფო და სხვა) ორგანიზმის ნაწილებს (გულს, ნერვულ სისტემას და ა.შ.) ადარებს, რომელთაგან თითოეული მთელის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს. სპენსერს მიაჩნია, რომ

ბიოლოგიური ორგანიზმების მსგავსად, საზოგადოებაც მარტივი ფორმებიდან უფრო რთულისაკენ ვითარდება. ამ პროცესში ის იძულებულია გარემოს შეცვლილ პირობებს შეეგუოს. ცხოვრებას აგრძელებს ის ვინც უფრო შეეგუა. ამგვარად, „ბუნებრივი შერჩევა“ საზოგადოებაში ისევე ხდება, როგორც ცხოველებთან. ამავე დროს, ადაპტაციის პროცესი საზოგადოებრივი წყობის შემდგომ გართულებას განაპირობებს, რადგან მისი ნაწილები უფრო სპეციალიზირებული ხდებიან (მაგალითად, საზოგადოება ძალზე გართულდა სამრეწველო რევოლუციების შემდეგ, რადგან ადგილი აქვს შრომის დანაწილების



გაღრმავებასა და ისეთი სპეციალიზირებული ინსტიტუტების გაჩენას, როგორებიცაა ფაბრიკები, ბანკები და საფონდო ბირჟები).

ამგვარად, საზოგადოება ვითარდება შედარებით მარტივი მდგომარეობიდან, სადაც ყველა ნაწილები ურთიერთშენაცვლებადია, რთული სტრუქტურისაკენ, სადაც ელემენტები აბსოლუტურად განსხვავდებიან. რთულ საზოგადოებაში ნაწილები ერთმანეთს ვერ ცვლიან. შედეგად, საზოგადოების ნაწილები ურთიერთდამოკიდებული ხდებიან. ყველა მათგანი ფუნქციონირებს მთელისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება დაიშლება. სპენსერის თვალსაზრისით ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სოციალური ინტეგრაციის საფუძველია.

მეცნიერ – საზოგადოებათმცოდნეთა უმრავლესობისაგან განსხვავებით სპენსერი არ იყო რეფორმატორი. ის თვლის, რომ საზოგადოებისათვის უკეთესია თუ ბუნებრივი შერჩევის გზით მოიცილებს შეუფუებელ ინდივიდებს და სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ამ პროცესებში (მაგალითად, ღარიბებისადმი დახმარების პროცესში) – ასეთმა ფილოსოფიამ მიიღო „სოციალ- დარვინიზმის“ სახელი. სპენსერი ამ ფილოსოფიას კომერციული დაწესებულებებისა და ეკონომიკის ინსტიტუტისათვის მისაღებად თვლიდა; მისი აზრით, კონკურენცია, მთავრობის მხრიდან ჩარევის გარეშე, შეუფუებელთა გარიყვას ხელს შეუწყობს. ის დარწმუნებულია, რომ ინდივიდსა და ორგანიზაციებს შორის თავისუფალი ურთიერთქმედებით ინტერესების ბუნებრივი და მდგრადი წონასწორობა მიიღწევა. ბუნებრივი ჰარმონიის დარღვევა, ამ პროცესში მხოლოდ მთავრობის ჩარევითაა შესაძლებელი.